

ანგარიში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს შესახებ, საგადასახადო ორგანოების მიმართ გადაგადაცილებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით

ჩვენ განვახორციელეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურები შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს (შემდგომში საფეხბურთო კლუბი) მიერ საგადასახადო ორგანოების მიმართ გადაგადაცილებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით. ჩვენი დაქირავება მოხდა დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო (ISRS 4400) სტანდარტის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება შეთანხმებული პროცედურების შესასრულებლად დაქირავებისას. პროცედურები განხორციელდა უშუალოდ საფეხბურთო კლუბისთვის მის სალიცენზიო განაცხადთან დაკავშირებით და შეჯამდა შემდეგნაირად:

სამუშაოს მოცულობა

ჩვენი სამუშაო შედგებოდა შემდეგი პროცედურებისგან:

1. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული საგადასახადო ცხრილის მიღება.
2. საგადასახადო ცხრილში ჯამური გადასახდელი თანხის შეჯერება 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „საგადასახადო ვალდებულების“ თანხასთან.
3. შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების მიღება.
4. თუ 2021 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით არსებობს საგადასახადო ორგანოების მიმართ გადასახდელი თანხა, რომელიც ეხება თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან ან იურიდიულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ გადასახადებს, რომლებიც წარმოიქმნა 2021 წლის 31 აგვისტომდე, გარკვევა 2021 წლის 15 ოქტომბრამდე:
 - (i) მიღწეულია თუ არა შეთანხმება გადასახადის გადავადების შესახებ;
 - (ii) ხომ არ წარმოიშვა დავა/საჩივარი/სასამართლო პროცესი, ან ხომ არ არის შეტანილი საპასუხო სარჩელი.
5. გადახდების დამადასტურებელი ყველა ან შერჩევით საბანკო ამონაწერების შემოწმება.

ქვემოთ გიდგენთ ანგარიშს ჩატარებული პროცედურების შედეგების შესახებ:

1. ჩვენ მოვიპოვეთ საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული საგადასახადო ცხრილი (დანართი 1).
2. საგადასახადო ცხრილში ჯამური გადასახდელი თანხა შევაჯერეთ 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების „საგადასახადო ვალდებულების“ თანხასთან. საგადასახადო ცხრილისა და ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, კლუბს არ გააჩნია საგადასახადო ვალდებულება საგადასახადო ორგანოების მიმართ 2021 წლი 31 აგვისტოს მდგომარეობით.
3. ჩვენ მოვიპოვეთ საგადასახადო შედარების აქტი 2021 წლის 31 აგვისტოს და 2021 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით **(დანართი 2 და დანართი 3)**.
4. წარმოდგენილი საგადასახადო შედარების აქტების მიხედვით, საფეხბურთო კლუბს არ აქვს საგადასახადო ორგანოების მიმართ გადასახდელი თანხა, რომელიც ეხება თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან ან იურიდიულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ გადასახადებს.
5. მე-5 საკითხთან დაკავსირებით აღვნიშნავთ, რომ კლუბს არ გააჩნია საგადასახადო ორგანოების მიმართ გადასახდელი თანხა, რომელიც ეხება თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან ან იურიდიულ ვალდებულებებთან დაკავშირებულ გადასახადებს, რომლებიც წარმოიქმნა გასული წლის 31 დეკემბრამდე. შესაბამისად, განსაზღვრული პროცედურა შეუსაბამოა.

რადგან ზემოაღნიშნული პროცედურები არ წარმოადგენს აუდიტის ან შემოწმების შეთანხმების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებულ არც აუდიტს და არც შემოწმებას, ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე რწმუნებულებას საგადასახადო ანგარიშებთან მიმართებაში 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით.

რომ განგვეხორციელებინა დამატებითი პროცედურები ან ჩაგვეტარებინა აუდიტი ან შემოწმება აუდიტის ან შემოწმების შეთანხმების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესაძლოა, ყურადღება გაგვემახვილებინა სხვა საკითხებზე, რაზეც თქვენ მოგახსენებდით.

ჩვენი მოხსენება ისახავს მხოლოდ წინამდებარე ანგარიშის პირველ პარაგრაფში მოცემულ მიზანს და განკუთვნილია მხოლოდ თქვენი ინტერესისთვის და არ გამოიყენება სხვა რაიმე მიზნით ან სხვა რომელიმე მხარისთვის გადასაცემად. წინამდებარე ანგარიში ეხება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ ანგარიშგებებსა და პუნქტებს და არ ვრცელდება შპს „საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი“-ს რომელიმე ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

მიხეილ აბაიაძე / პარტნიორი / სერტიფიცირებული აუდიტორი

05 ოქტომბერი, 2021 წელი
თბილისი, საქართველო

დანართი 1 – კლუბის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული საგადასახადო ცხრილი

განზრახ გამოტოვებული. დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

დანართი 2 - საგადასახადო ორგანოებიდან წერილობითი დადასტურების ასლი (შედარების აქტი) 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით

განზრახ გამოტოვებული. დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

421277175

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

(გადამხდელის პირადი ნომერი)

შედარების აქტი

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი

01-01-2021-დან

01-09-2021-მდე

(ორგანიზაციის დასახელება)

N	გადასახადები	საღლო სანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის(მდგო 31/12/2020)				ანგარიშგება სანგარიშო პერიოდის ვალდებულებების მიხედვით			საღლო სანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის (მდგო 31/08/2021)				დამატებით დარიცხული თანხები,რომელიც არ არის აღიარებული	გადავადებული აღიარებული ვალდებულებები
		ძირითადი	ჯარიმა	საურავი	ზედმეტობა	დარიცხული თანხები	მ.შ დამატებით დარიცხული	ბიუჯეტში გადახდილი თანხები	ძირითადი	ჯარიმა	საურავი	ზედმეტობა	0	0
1	ერთიანი სახაზინო კოდი სულ	0	0	0	10386.79	205026.55	308.5	259218.3	0	0	0	64578.54	0	0
2	სულ ჯამი	0	0	0	10386.79	205026.55	308.5	259218.3	0	0	0	64578.54	0	0

შენიშვნა

29/09/2021 03:31:46

შედარების თარიღი

საგადასახადო ინსპექტორის ხელმოწერა

გადამხდელის ხელმოწერა

დანართი 3 - საგადასახადო ორგანოებიდან წერილობითი დადასტურების ასლი (შედარების აქტი) 2021 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით

განზრახ გამოტოვებული. დანართი იხილეთ შემდეგი გვერდიდან

421277175

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

(გადამხდელის პირადი ნომერი)

შედარების აქტი

შპს საფეხბურთო კლუბი წყალტუბოს სამგურალი

01-01-2021-დან

21-09-2021-მდე

(ორგანიზაციის დასახელება)

N	გადასახადები	საღლო სანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის(მდგო 31/12/2020)				ანგარიშგება სანგარიშო პერიოდის ვალდებულებების მიხედვით			საღლო სანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის (მდგო 20/09/2021)				დამატებით დარიცხული თანხები,რომელიც არ არის აღიარებული	გადავადებული აღიარებული ვალდებულებები
		ძირითადი	ჯარიმა	საურავი	ზედმეტობა	დარიცხული თანხები	მ.შ დამატებით დარიცხული	ბიუჯეტში გადახდილი თანხები	ძირითადი	ჯარიმა	საურავი	ზედმეტობა	0	0
1	ერთიანი სახაზინო კოდი სულ	0	0	0	10386.79	258398.79	312.75	259823.55	0	0	0	11811.55	0	0
2	სულ ჯამი	0	0	0	10386.79	258398.79	312.75	259823.55	0	0	0	11811.55	0	0

შენიშვნა

29/09/2021 03:31:02

შედარების თარიღი

საგადასახადო ინსპექტორის ხელმოწერა

გადამხდელის ხელმოწერა